

საბანკო გარანტიის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები (დანართი N1)

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშეკრულების მიზნებისათვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **ავიზირებადი ბანკი** – საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებული ბენეფიციარის მომსახურე ან/და ბენეფიციარის ქვეყანაში მდებარე საბანკო დაწესებულება, რომელიც ბანკისაგან საბანკო გარანტიის წერილის მიღების შემთხვევაში ახორციელებს მისი ავთენტურობის დადგენას და უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის გახსნის შესახებ ინფორმაციის ბენეფიციარისათვის მიწოდებას (Advising Bank). ავიზირებადი ბანკი ამავდროულად შესაძლოა წარმოადგენდეს დამადასტურებელ ბანკსაც;

- **ანგარიში** – ბანკში არსებული კლიენტის საბანკო ანგარიში;

- **ბენეფიციარი** – პირი რომლის სასარგებლოდაც გაიცემა საბანკო გარანტია;

- **დამადასტურებელი ბანკი** – საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში მითითებული ბენეფიციარის მომსახურე ან/და ბენეფიციარისთვის მისაღები საბანკო დაწესებულება, რომლის სასარგებლოდაც ბანკი გასცემს საბანკო გარანტიას¹.

- **განაცხადი** – კლიენტის მიმართვა ბანკისადმი, საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ, ბანკის მიერ დადგენილი ფორმით. განაცხადი წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ (განუყოფელ) ნაწილს და განიხილება მასთან ერთად. ამასთან, განაცხადში მითითებულ პირობებსა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს;

- **გრაფიკი** – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს დაბრუნების/გადახდის გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს და რომელსაც კლიენტის მოთხოვნის არსებობისას ბანკი გასცემს კლიენტზე. ამასთან, გრაფიკსა და ხელშეკრულების დებულებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში ხელშეკრულების დებულებებს მიენიჭება უპირატესობა;

- **დამატებითი პირობები** – საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N2-ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;

- **დანართი** – თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით, ხელშეკრულების დანართი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

- **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

- **კლიენტი** – პირი, რომლის სახელი/საფირმო სახელწოდება/დასახელება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია ხელშეკრულებაში;

- **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება/ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** – (ა) ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესაბამისად, ბანკსა და კლიენტს, ან ბანკსა და მესამე მხარეს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, უზრუნველყოფის ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულება ან/და დოკუმენტები, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან/და ხდება მის საფუძველზე; ან/და (ბ) ბანკსა და კლიენტს, ან ბანკსა და მესამე მხარეს შორის დადებული სხვა სახის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია კლიენტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო გარანტიით სარგებლობისათვის, ან მათ უზრუნველსაყოფად;

- **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი, გარდა კლიენტისა ან/და ბანკისა;

- **მხარე/მხარეები** – კლიენტი ან/და ბანკი, კონტექსტის შესაბამისად;

- **პირგასამტეხლო (ჯარიმა)** – კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანად შესრულებისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისად;

- **პირი** – ფიზიკური პირი (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე), იურიდიული პირი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;

- **პრინციპალი** – პირი, რომლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ბენეფიციარის წინაშე, უზრუნველყოფილია საბანკო გარანტიით (კლიენტი და პრინციპალი შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე პირი);

- **საბანკო გარანტია** – (1) ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად განსაზღვრული ბანკის ვალდებულება, რომ მან უზრუნველყოს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების სათანადო შესრულება, რის სანაცვლოდაც კლიენტი იღებს ვალდებულებას: (ა) გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიო და სხვა გადასახდელები; (ბ) რეგრესის წესით აუნაზღაუროს ბანკს ის თანხა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, მათ შორის, ის თანხა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ ბანკის ვალდებულების დარღვევის გამო ან (2) ბანკსა და დამადასტურებელ ბანკს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად ბანკის მიერ დამადასტურებელი ბანკის სასარგებლოდ ნაკისრი ვალდებულება, რომლითაც უზრუნველყოფილია დამადასტურებელი ბანკის მიერ ბენეფიციარის სასარგებლოდ გაცემული/გასაცემი საბანკო გარანტია;

- **საბანკო დღე** – დღე (შაბათის, კვირის და/ან კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას;

- **საბანკო გარანტიის ხელშეკრულება** – „2.1.1.1.“ ქვეპუნქტში მითითებული ხელშეკრულება, რომლის დანართსაც წარმოადგენს წინამდებარე სპეციფიკური პირობები;

- **საბანკო გარანტიის წერილი** – ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრება საბანკო გარანტიის პირობები ბენეფიციარისათვის და გაიცემა ამ დანართი N1-ის „2.2.1.“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტთან და/ან პრინციპალთან შეთანხმების გარეშე, დააკორექტიროს საბანკო გარანტიის წერილის ტექსტი, ისე რომ აღნიშნული არ იწვევდეს საბანკო გარანტიის ძირითადი პირობის ცვლილებას და/ან კლიენტისათვის ახალი ვალდებულებების წარმოშობას.

¹ იმ შემთხვევაში თუ საგარანტო ურთიერთობაში მონაწილეობს დამადასტურებელი ბანკი, ხელშეკრულების მიზნებისათვის, კონტექსტის და გარეუბრის შესაბამისად ბენეფიციარს წარმოადგენს დამადასტურებელი ბანკი.

- **საგარანტიო თანხა** – საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ეკისრება ბანკს, ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად;
- **საკომისიო** – ხელშეკრულების ფარგლებში და მათ შესაბამისად, ბანკის მიერ საბანკო გარანტიით სარგებლობისათვის კლიენტისათვის დაწესებული გადასახდელები, რომელთა ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით;
- **ხელშეკრულება** – (ა) საბანკო გარანტიის ხელშეკრულება; (ბ) საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N1 (ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები); (გ) საბანკო გარანტიის ხელშეკრულების დანართი N2 (ხელშეკრულების დამატებითი პირობები), ასეთის არსებობის შემთხვევაში, (დ) ნებისმიერი დამატებითი დანართი/განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაიდება/წარმოდგენილი იქნება მომავალში კლიენტის მიერ ხელშეკრულებასთან მიმართებაში, მათში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით, და (ე) მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება/ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება;
- **ICC–ს უნიფიცირებული წესები** – საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები URDG 758 2010 წლის რედაქცია ან ხელშეკრულებით/საბანკო გარანტიის წერილით განსაზღვრული სხვა რედაქცია, მათში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით;
- **SWIFT** – საერთაშორისო ბანკთაშორისი საკომუნიკაციო სისტემა (ქსელი), რომლის საშუალებითაც კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას განხორციელებული/განსახორციელებელი ფინანსური ოპერაციების თაობაზე.

მუხლი 2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიით სარგებლობის პირობები

- 2.1. **საბანკო გარანტია**
 - 2.1.1. **საბანკო გარანტიის წერილის გაცემის წესი**
 - 2.1.1.1. განაცხადის წარდგენის და ბანკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ საბანკო გარანტიის გაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტის საფუძველზე ბანკი და კლიენტი აფორმებენ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება საბანკო გარანტიით სარგებლობის კონკრეტული პირობები.
 - 2.1.1.2. საბანკო გარანტიით სარგებლობა მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა ბანკისათვის მისაღები ფორმით.
 - 2.1.2. **საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი**
 - 2.1.2.1. საკომისიოს ოდენობა/ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულებით.
 - 2.1.2.2. საკომისიოს ოდენობა იანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით.
 - 2.1.3. **პირგასამტეხლო (ჯარიმა)**
 - 2.1.3.1. პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით.
 - 2.1.3.2. პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი აღსრულების დაწყებამდე ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის დღემდე.
 - 2.1.3.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდელების) შესრულებისაგან/გადახდისაგან.
 - 2.1.4. **საგარანტიო თანხის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდელების გადახდის წესი**
 - 2.1.4.1. კლიენტი ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას საგარანტიო თანხის ფარგლებში ბანკის მიერ ბენეფიციარისთვის ფაქტიურად გადახდილი თანხის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანხმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ ანაზღაურებული საგარანტიო თანხა და შემდეგ სხვა გადასახდელები.
 - 2.1.4.2. საგარანტიო თანხის, საკომისიოს და პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გარანტიის ვალუტაში, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია განხორციელდება კლიენტის ხარჯზე, კონვერტაციის თარიღისათვის ბანკში დაწესებული კომერციული კურსით ან კლიენტთან შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - 2.1.4.3. კლიენტის მიერ ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ჩაითვლება, თუ კლიენტის მიერ ვალდებულების შესაბამისი თანხის გადახდა მოხდება სრულად და ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში (თუ ეს თარიღი ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა).
 - 2.1.4.4. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კლიენტის მიერ შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას ბანკისათვის ფულადი სახსრების გადაცემით/უფლებრივად დატვირთვით ან/და საკუთარი ფულადი სახსრების განკარგვის უფლების ბანკის სასარგებლოდ შეზღუდვით (ფულადი სახსრების ბლოკირება). აღნიშნულ შემთხვევაში, ბანკს, სხვა კრედიტორებთან შედარებით, წარმოეშობა უპირატესი უფლება, კლიენტის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნა საგარანტიო თანხის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელების ანაზღაურებაზე, პირველ რიგში, სრულად და ჯეროვნად დაიკმაყოფილოს ზემოხსენებული ფულადი სახსრებიდან.
 - 2.1.5. **საბანკო გარანტიის ანაზღაურება ბენეფიციარისათვის**
 - 2.1.5.1. პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს და მოითხოვოს საბანკო გარანტიის საფუძველზე საგარანტიო თანხის მისთვის გადახდა.
 - 2.1.5.2. ბენეფიციარის მიერ ბანკისათვის საბანკო გარანტიის საფუძველზე საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნით მიმართვისას, მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნას საბანკო გარანტიის წერილში მითითებულ ადგილას საბანკო გარანტიის წერილში გათვალისწინებული ფორმის და პირობების დაცვით, მათ შორის შესაძლებელია SWIFT-ის ან გარანტიების ელექტრონულ სისტემის საშუალებით თუ ასეთი გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წერილში.
 - 2.1.5.3. ბანკი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის შესრულების მოთხოვნა ბენეფიციარისაგან მიიღოს საბანკო გარანტიის წერილით გათვალისწინებულ, მოთხოვნის წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო საბანკო დღისა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ბანკი უფლებამოსილია ბენეფიციარის მოთხოვნა მიიღოს აღნიშნული დღის მომდევნო საბანკო დღის ჩათვლით.

2.1.5.4. ბანკის მიერ საბანკო გარანტიის შესრულების მოთხოვნის განხილვის ვადა შეადგენს 5 (ხუთი) საბანკო დღეს. თუ კანონმდებლობით ან საბანკო გარანტიის წერილით გათვალისწინებულია საბანკო გარანტიის ანაზღაურების მოთხოვნის განხილვის სხვა ვადა მაშინ იმოქმედებს აღნიშნული ვადა.

2.1.5.5. ბანკი ვალდებულია წერილობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით შეატყობინოს კლიენტს, ასევე, თუ კლიენტი და პრინციპალი სხვადასხვა პირია, პრინციპალსაც, ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის შესრულების მოთხოვნის მიღების შესახებ და გადასცეს/გაუგზავნოს მოთხოვნის ასლი და ხელშეკრულებით ან/და საბანკო გარანტიის წერილით განსაზღვრულ დოკუმენტაციას. კლიენტმა და, თუ კლიენტი და პრინციპალი სხვადასხვა პირია, პრინციპალმა შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში: (ა) ბანკს წერილობით უნდა დაუდასტუროს ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძვლიანობა და დაეთანხმოს მას ან (ბ) უარყოს (სრულად ან ნაწილობრივ) ბენეფიციარის მოთხოვნა, მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტაცია და დაურთოს ბენეფიციარის მოთხოვნის უსაფუძვლოდ და დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კლიენტის/პრინციპალის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის საკმარის საფუძველს. კლიენტის (პრინციპალის) მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის უარყოფის შემთხვევაში, ბანკი აცნობებს ამის შესახებ ბენეფიციარსა და აწვდის კლიენტისგან (პრინციპალისგან) მიღებულ დოკუმენტაციას. გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმოწერა მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.1.5.6. ბანკმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება საბანკო გარანტიის წერილში მითითებულ პირობებს ან/და ისინი წარედგინა ბანკს საბანკო გარანტიის წერილით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, ამასთან, ბანკი პასუხს არ აგებს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე (აუთენტურობაზე). ბანკმა დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, უნდა აცნობოს ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

2.1.5.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბანკის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ საგარანტიო თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.

2.1.5.8. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის საფუძველზე მოხდება ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის ანაზღაურება (სრულად ან ნაწილობრივ), კლიენტს წარმოეშობა რეგრესული ანაზღაურების ვალდებულება ბანკის მიმართ, ბანკის მიერ გადახდილი საგარანტიო თანხის პროპორციულად.

2.1.5.9. საგარანტიო თანხა ანაზღაურებულ უნდა იქნას იმ ვალუტაში რა ვალუტაც მითითებულია საბანკო გარანტიაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებული გარემოებების შესაბამისად ბანკს არ შეუძლია მითითებულ ვალუტაში გადახდა ან/და როდესაც გადახდა მითითებულ ვალუტაში ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2.1.5.10. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტისაგან რეგრესული ანაზღაურება (ა) იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც ბენეფიციარისთვის გადახდილი იქნა საგარანტიო თანხა ან (ბ) იმ ვალუტაში, რომელი ვალუტაც მითითებულია საბანკო გარანტიაში.

2.2. საბანკო გარანტიით სარგებლობის სხვა პირობები

2.2.1. საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა საბანკო გარანტიის წერილი, წერილობითი ფორმით, ან ელექტრონულად (გარანტიების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის, SWIFT-ის ან ან/და სხვა ელექტრონული (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) საშუალებით), რომლის ტექსტი შეთანხმებულია კლიენტთან. საბანკო გარანტიის წერილში აისახება საბანკო გარანტიის პირობები (მათ შორის, საგარანტიო თანხის მოცულობა, გადახდის პირობები, მოქმედების ვადა, ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის წარდგენის ადგილი, ფორმა და ა.შ.) საბანკო გარანტიის წერილი გადაეცემა კლიენტს ან პრინციპალს ბენეფიციარისათვის წარსადგენად ან გადაეცემა ბენეფიციარს, ხოლო ბანკში რჩება საბანკო გარანტიის წერილის ასლი.

2.2.2. საბანკო გარანტია ძალაში შედის საბანკო გარანტიის წერილის გაცემის დღიდან, თუ საბანკო გარანტიის წერილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბანკო გარანტია არ შეიძლება გამოთხოვილ იქნას ბანკის მიერ, თუ ხელშეკრულებით, კანონმდებლობით ან/და თავად საბანკო გარანტიის წერილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.2.3. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება ბანკის მიმართ ბენეფიციარმა შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს (შემდგომში – ახალი ბენეფიციარი) მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, თუ საბანკო გარანტიის წერილი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას.

2.2.4. ბენეფიციარის მიერ ბანკისათვის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნით მიმართვისთანავე ან/და ბენეფიციარის მიერ მიმართვის ვარაუდის გაჩენისთანავე ბანკი უფლებამოსილია მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი ანგარშ(ებ)ზე შესაბამისი თანხები.

2.2.5. ბენეფიციარის წინაშე ბანკის ვალდებულების შეწყვეტის ან საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვის შემთხვევაში, საბანკო გარანტია ძალადაკარგულად ითვლება მიუხედავად იმისა დაუბრუნდა თუ არა ბანკს ბენეფიციართან ან კლიენტთან ან პრინციპალთან დაცული საბანკო გარანტიის წერილი.

2.2.6. საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა ან უარი ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნაზე ძალაში შედის აღნიშნულის თაობაზე ბენეფიციარის მიერ ბანკისაგან მიღებული წერილობითი შეტყობინების მიღების დღეს (წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის მიღებად ჩათვლება თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ბენეფიციარის მიერ ან თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ბენეფიციარის მიერ - ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს).

2.2.7. თუ საბანკო გარანტიის წერილით გათვალისწინებულია საბანკო გარანტიის შემცირების ან/და გაუქმების შესაძლებლობა კლიენტის და/ან პრინციპალის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ბანკის იურიდიულ მისამართზე, რომლებიც თან უნდა ახლდეს კლიენტის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნას, რომელშიც მითითებული იქნება საბანკო გარანტიის ნომერი და თარიღი, რომლის შემცირებასაც/გაუქმებასაც ითხოვს კლიენტი.

2.2.8. მიუხედავად საბანკო გარანტიის ვადის გასვლისა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე კლიენტის ყველა ვალდებულება (მათ შორის საკომისიოს გადახდის ვალდებულება) ძალაში რჩება, იმ პერიოდის განმავლობაში სანამ, ბენეფიციარის მიერ ბანკისათვის საბანკო გარანტიის საფუძველზე საგარანტიო თანხის გადახდის მოთხოვნიდან: (ა) ბანკი არ მოახდენს ბენეფიციარისთვის თანხის ანაზღაურებას ან (ბ) ბანკი უარს ეტყვის ბენეფიციარს თანხის ანაზღაურებაზე ან (გ) ბანკი არ მიიღებს დასტურს, რომ არ არსებობს ბენეფიციარის მოთხოვნა საბანკო გარანტიის შესრულებაზე.

2.3. საბანკო გარანტიის დამატებითი პირობები

2.3.1. თუ საბანკო გარანტია გაცემულია ერთ რომელიმე ვალუტაში და საბანკო გარანტიის ანაზღაურება ხდება სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო საგარანტიო თანხის გადაჭარბება არ ჩათვლება ხელშეკრულების დარღვევად და კლიენტი

ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.3.2. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ხელშეკრულებით განსაზღვრული საბანკო გარანტიით მომსახურებაზე ან მის ნაწილზე, თუკი კლიენტის ქონებაზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე (მათ შორის, ანგარიშზე) აღრიცხულია (რეგისტრირებულია) რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის, საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა, რომელიც საფრთხეს უქმნის კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას.

2.3.3. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) დარიცხვის (გადახდის) მომენტში, კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილია საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) განაკვეთები, რომელთა მოცულობა უფრო დაბალია, ვიდრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) განაკვეთები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

2.3.4. კლიენტი, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს ბანკისათვის ყველა იმ საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და გადასახდელის ანაზღაურება, რომელიც შეიძლება დაეკისროს ბანკს, მათ შორის, ბენეფიციარის (დამადასტურებელი ბანკის) მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ასევე კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და გადასახდელის ანაზღაურება, რომლის ბანკისათვის გადახდასაც დადგენილ ვადაში არ უზრუნველყოფს ბენეფიციარი (დამადასტურებელი ბანკი). კლიენტის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული გადასახდელების გადახდის ვადა განისაზღვრება ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.

2.3.5. ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ბანკისთვის გადასახდელი ნებისმიერი საკომისიო, თანხა, საზღაური ან/და გადასახდელი მითითებული და განსაზღვრულია გადასახადების (მათ შორის შეუზღუდავად, ნებისმიერ იურისდიქციაში განსაზღვრული წყაროსთან დაკავების ვალდებულების ან/და არაპირდაპირი გადასახადის) გარეშე და არ მოიცავს მათ.

მუხლი 3. კლიენტის ვალდებულებები ხელშეკრულების შესრულების მიზნით

3.1. კლიენტი ვალდებულია ბანკის წერილობით ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით, ხოლო ასეთი ვადის არ არსებობისას, ბანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის, უზრუნველყოფის საშუალებები) ბანკის სასარგებლოდ (ანუ დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს ბანკი ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირი) ისე, რომ (ა) სადაზღვევო ანაზღაურებით შესაძლებელი იყოს ბანკის (ან/და ბანკის მიერ დასახელებული პირის) მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, და (ბ) დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს ბანკის მოთხოვნების მოქმედების ვადაზე ნაკლები.

3.1.1. ამასთან, კლიენტი იღებს ვალდებულებას:

3.1.1.1. დაზღვევის მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინოს ბანკს;

3.1.1.2. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია ბანკის მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წარუდგინოს ბანკს დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვადით;

3.1.1.3. დაიცვას დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს და სადაზღვევო კომპანიას.

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის მოთხოვნების (ან მათი ნაწილის) შესრულების, ასევე სასამართლოს/არბიტრაჟის, აღსრულების, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული, თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯების სრულად და ჯეროვნად უზრუნველსაყოფად:

3.2.1. კლიენტი თანახმაა, რომ, მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, ბანკმა გადახდევინება მიაქციოს კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე (მათ შორის, იმ ქონებაზეც, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს) თუ უზრუნველყოფის საგანზე გადახდევინების მიქცევით მიღებული თანხა (ბანკის საკუთრებაში გადასული უზრუნველყოფის საგანი ან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა) სრულად არ ფარავს უზრუნველყოფილ მოთხოვნებს; ამასთან, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია იძულებითი აღსრულება მიმართოს კლიენტის იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს. ამასთან, არ არის სავალდებულო, რომ ბანკმა, პირველ რიგში, იძულებითი აღსრულება დაიწყოს დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს კლიენტის სხვა ქონებაზე, ასევე, მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერო ქონების (მათ შორის საბანკო ანგარიშების) დაყადაღება.

3.2.2. თუ ბანკი, კლიენტის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის მიმართვის საფუძველზე, წერილობით უარს განაცხადებს უზრუნველყოფაზე, მხარეები თანხმდებიან, რომ უზრუნველყოფის ამგვარი გაუქმება ჩაითვლება მხარეთა შორის შეთანხმებულად და ბანკის მოთხოვნები კლიენტის მიმართ დარჩება ძალაში სრული ოდენობით.

3.3. კლიენტი ვალდებულია ქვემოთ მითითებულ ვადებში, ან/და ბანკის წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ბანკისათვის მისაღები ფორმით მიაწოდოს ბანკს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც:

3.3.1. ასახავს კლიენტის საერთო აქტივებს/ქონებას, ფინანსურ მდგომარეობას (მათ შორის ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი), საქმიან ოპერაციებს, ამონაწერებს საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის, სხვა საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში არსებული ანგარიშებიდან) და ანგარიშგებას (საგადასახადო ანგარიშების ჩათვლით), მათ შორის:

3.3.1.1. ყოველი კალენდარული კვარტლის შემდგომი თვის ბოლო რიცხვამდე – ინფორმაცია საერთო აქტივების/ქონების შესახებ, მოგება-ზარალის უწყისი და ბალანსი კალენდარული კვარტლის ბოლო დღის მდგომარეობით;

3.3.1.2. ყოველი მომდევნო კალენდარული წლის მე-4 თვის ბოლო რიცხვამდე – გასული კალენდარული წლის ფინანსური დოკუმენტაცია (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) კალენდარული წლის ბოლო დღის მდგომარეობით, რომელიც ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებული სახით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.3.1.3. დაუყოვნებლივ – იმ შესაძლო, პოტენციური ან/და არსებული ადმინისტრაციული, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) ან/და სხვა მსგავსი დავების ან სამართალწარმოების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, კლიენტის აქტივებთან/ქონებასთან, უზრუნველყოფის საშუალებებთან, კლიენტის გადახდისუნარიანობასთან/გაკორტყებასთან დაკავშირებულ დავებს ან სამართალწარმოებას.

3.3.2. უკავშირდება ან/და ასახავს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულებას;

3.3.3. აუცილებელია ბანკის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დასაცავად და შესასრულებლად;

3.3.4. მოთხოვნილია ბანკის მიერ გონივრულობის ფარგლებში კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

3.4. კლიენტი ვალდებულია, აწარმოოს საქმიანობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, მათ შორის – გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვით. კლიენტი აცხადებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის პოლიტიკას, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის ან ასეთის საშიშროების შესახებ. აღნიშნულთან ერთად კლიენტი ვალდებულია ბანკს აცნობოს იმ ზომების შესახებ, რომელსაც იგი იღებს ზემოთ ხსენებული დარღვევების აღმოსაფხვრელად, ასევე, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შეუთანხმოს ბანკს ან/და გაითვალისწინოს ბანკის მოთხოვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი), ხოლო ზიანის (ზარალის) ანაზღაურება მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან/გადახდისაგან.

4.2. მიუხედავად ამ დანართის „4.1.“ პუნქტებით განსაზღვრული გარანტიებისა, კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად ბანკის უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე:

4.2.1. რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, განსაზღვროს საბანკო გარანტიის და მის ფარგლებში არსებული გადასახდელების თანმიმდევრობა და რიგითობა;

4.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელის სრულად და ჯეროვნად დაფარვამდე, მასთან არსებული წესების დაცვით, შესაბამისი გადასახდელის მოცულობით, უაქცეპტოდ დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი სახის ანგარიში.

მუხლი 5. კომუნიკაცია მხარეთა შორის

5.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, გარდა კლიენტისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულებების ვადამდე სრულად შესრულების მოთხოვნის წარდგენისა ან ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ შეტყობინებისა, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის, ან სხვა ელექტრონული საშუალებით (მათ შორის, მობაილ-ბანკით, ინტერნეტ-ბანკით) გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

5.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

5.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს;

5.2.2. ელექტრონული ფოსტის, ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღიდან მეორე საბანკო დღეს.

5.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

5.4. მხარეები ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

მუხლი 6. კონფიდენციალურობა

6.1. მხარეები ვალდებული არიან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

6.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

6.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის ინფორმაციის გამჟღავნებელი მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გამჟღავნებამდე;

6.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო/არბიტრაჟის წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

6.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;

6.3. მიუხედავად ამ დანართის „6.1.“ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:

სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკი“

6.3.1. კლიენტის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ინფორმაცია ხელშეკრულების შესახებ)/კლიენტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მიაწოდოს;

6.3.1.1. ხელშეკრულების და შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულებების/გარიგებების მხარეებს.

6.3.1.2. მესამე პირებს: (ა) კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად ბანკის უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ან (ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების შეძენით/სინდიცირებით ან/და კლიენტის ვალდებულებების გადაკისრებით;

6.3.1.3. პარტნიორ ფინანსურ ორგანიზაციას/ორგანიზაციებს (მოთხოვნის შემთხვევაში) კლიენტისათვის მომსახურების შეუფერხებლად განხორციელების მიზნებისათვის.

მუხლი 7 დავები

7.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან, აღსრულებასთან ან/და ნამდვილობასთან/ ბათილობასთან დაკავშირებით) წყდება საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გათვალისწინებული წესით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი დადების/ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღმატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას).

8.2. ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა შესაძლებელია:

8.2.1 საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვისას, იმ პირობით, რომ მხარეებს სრულად აქვთ შესრულებული ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ;

8.2.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.2.3 ბანკის მიერ ცალმხრივად მისი შეხედულებისამებრ;

8.2.4 კლიენტი მიერ, იმ პირობით, რომ კლიენტს არ გააჩნია ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე სახის შეუსრულებელი/შესასრულებელი ვალდებულება ბანკის მიმართ.

8.3. მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან, თუ ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულება შესაძლებელია ან უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში, ხელშეკრულება შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს.

8.4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის დადგომისას:

8.4.1. ბანკი თავისუფლდება ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.4.2. ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეუწყვეტლად, ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს კლიენტს ფინანსური ვალდებულებების ვადამდე შესრულება (მათ შორის, საგარანტიო თანხის ან/სხვა მსგავსი დავალიანების, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, როგორც მიუღებელი სარგებლის), საკომისიოსა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით), რა შემთხვევაშიც ვალდებულების წინსწრებით შესრულების ან/და სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებისათვის კლიენტს არ ეკისრება რაიმე დამატებითი გადასახდელის გადახდა.

8.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს საგარანტიო თანხის ან/სხვა მსგავსი დავალიანების, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, როგორც მიუღებელი სარგებლის), საკომისიოს, პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ვალდებულების შესრულებისგან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფინანსური დავალიანების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

8.6. ხელშეკრულების ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ იწვევს ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვას.

მუხლი 9. ცვლილებები და დამატებები

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, განაცხადში ან/და საბანკო გარანტიის წერილში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება ელექტრონული კომუნიკაციის არხებით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მხარეთა შეთანხმების გზით).

9.2. მიუხედავად ამ დანართის „9.1.“ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, ბანკი უფლებამოსილია:

9.2.1. შეამციროს საგარანტიო თანხის ოდენობა;

9.2.2. შეცვალოს ხელშეკრულებით დადგენილი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა არაუმეტეს არსებული განაკვეთის 1/4 (ერთი მეოთხედის) ოდენობით;

9.2.3. შეცვალოს მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით დადგენილი საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში;

9.2.5. შეცვალოს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

9.2.6. დაადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიით სარგებლობასთან დაკავშირებული საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთის ოდენობა.

9.3. ბანკის მიერ ამ დანართის „9.2.“ პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

9.3.1 თუ ასეთი გადაწყვეტილება აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ბანკი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ატყობინებს კლიენტს.

9.3.2. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია კლიენტის სასარგებლოდ (მათ შორის საკომისიოს ოდენობის შემცირებისას), ან/და არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს კლიენტის დამატებით თანხმობას ან აქცეპტს და ამ სახით შეცვლილი პირობები ამოქმედდება ბანკის მიერ განსაზღვრული თარიღიდან. ამასთან, ბანკი ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შეატყობინოს ამ დანართის მე-5 მუხლით დადგენილი

წესით ან/და ბანკის სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში ან/და ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესაბამისი განცხადების განთავსებით.

9.4. ბანკის მიერ ამ დანართის „9.2.2.“ და „9.2.3.“ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღებისას, იგი მხედველობაში მიიღებს ქვეყანაში დაფიქსირებული ინფლაციის დონეს, სამომხმარებლო ფასებს, სამეწარმეო აქტიურობის ინდექსებს, სხვა გლობალური ან/და რეგიონალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, ასევე კლიენტთან საკრედიტო ურთიერთობის ისტორიას.

9.5. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები (მათ შორის ამ დანართის „9.2.“ და „9.3.“ პუნქტების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები და დამატებები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების მოქმედება კლიენტის მიმართ

10.1. ხელშეკრულების მიზნებისათვის, „კლიენტის“ დეფინიციაში მოცემულ პირებზე ხელშეკრულების პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი. ასევე, ფიზიკური პირის ასაკი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ პირზე.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი:

10.2.1. ამ დანართის მე-10 მუხლის სხვა დებულებებით დადგენილი პასუხისმგებლობის შეუზღუდავად, თითოეული ასეთი კლიენტისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა/შესაბამისი ხელშეკრულების დადება/ხელმოწერა შესაძლოა მოხდეს ინდივიდუალურად, ერთობლივად ან/და ცალკეული ჯგუფების მიხედვით;

10.2.2. თითოეული ასეთი კლიენტი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე;

10.2.3. თითოეული კლიენტის სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს კლიენტი ამგვარი მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების მხარეს;

10.2.4. თითოეული კლიენტის სოლიდარული პასუხისმგებლობა ძალაშია მიუხედავად მათ მიერ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად ბანკის სასარგებლოდ რაიმე ფორმით გაცემული დამატებითი ვალდებულების (მათ შორის, თავდებობის ან/და გარანტიის) არსებობა/არარსებობისა;

10.2.5. ერთ-ერთი კლიენტის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ კლიენტს და მის მიმართ ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

მუხლი 11. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის, სანქციების რეჟიმი

11.1. თუ ბანკი დაადგენს ან აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი ან/და პრინციპალი ან/და ბენეფიციარი არღვევს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან/და მისი საქმიანობა პირდაპირ ან ირიბად მოიცავს ქვეყნებს, რეგიონებს, ორგანიზაციებს, ფიზიკურ პირებს, სუბიექტებს და ნებისმიერ სხვა მესამე მხარეს, რომელთა მიმართაც შესაძლოა მოქმედებდეს ეკონომიკური/ფინანსური სანქციები დაწესებული გაეროს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა ან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ან სხვა შესაბამისი სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ ან/და მისი/მათი ქმედებები წინასწარ განზრახულად თუ უნებლიედ ემსახურება ან ხელს უწყობს ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა ან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების დარღვევას/გვერდის ავლას, ან კლიენტი/პრინციპალი/ბენეფიციარი თავად გახდება სანქცირებული ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანოების, სამთავრობო ან მარეგულირებელი რომელიმე ორგანოს მიერ, ბანკი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის, შესაბამისი ქვეყნის/ორგანოს სანქციათა რეჟიმის ან/და საქართველოს შესაბამისი/უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მითითების ან/და ბანკის შიდა მარეგულაციური დოკუმენტების საფუძველზე იმოქმედოს, რაც ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის გარეშე გულისხმობს ბანკის უფლებას, შესაბამისი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან საერთაშორისო სანქციების დაწესების/დარღვევის ფარგლებში შეუზღუდოს კლიენტს/პრინციპალს/ბენეფიციარს სახსრებთან წვდომა (არ განაკარგვინოს) ან/და შეწყვიტოს მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე შესაბამისი თანმდევი შედეგებით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

12.2. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

12.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას.

12.4. ხელშეკრულებაში მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები, კონტექსტის შესაბამისად, გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

12.5. ხელშეკრულების დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანომრილია მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის ან/და ნამდვილობისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ამასთან, დანართის ამა თუ იმ ნუმერაციით არსებობა არ გულისხმობს, რომ აუცილებელი წესით არსებობს წინა ნუმერაციით დანომრილი დანართი.

12.6. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და უფლებებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულება ან/და კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

12.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს კლიენტის მიმართ ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნა, მათ შორის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს. კლიენტს

უფლება არა აქვს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ კლიენტმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა კლიენტი.

12.8. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში აღწერილია ხელშეკრულებაზე ხელმოწერი უფლებამოსილი წარმომადგენლის ვინაობა და მონაცემები, თითოეული მხარე უფლებამოსილია ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხელმოწერასთან ერთად, უთითებს სახელს, გვარს და საიდენტიფიკაციო/პირად ნომერს.

12.9. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას/მხარეთა შორის დავის წარმოშობისას, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ქართულ ენაზე შედგენილ ვერსიას (თუ ხელშეკრულება შედგენილია სხვა ენა(ებ)ზე).